

2024 წლის ინდივიდუალური

ფინანსური ანგარიშგება

შპს შპს გ.ნათაძის სახელობის სანიტარიის,
ჰიგიენის და სამედიცინო ეკოლოგიის სამეცნიერო-
კვლევითი ინსტიტუტი (ს/კ 202057219)



შინაარსი:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
საქმიანობის შედეგები
ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნები და
მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

1. ზოგადი ინფორმაცია
2. მომზადების საფუძველი
3. ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები
4. სავაჭრო მოთხოვნები
5. გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი
6. სასაქონლო-მატერიალური მარაგები
7. სხვა მიმდინარე აქტივები
8. არამატერიალური აქტივები
9. ძირითადი საშუალებები
10. ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში
11. სავაჭრო ვალდებულებები
12. დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები
13. ფინანსური ვალდებულებები
14. სხვა ვალდებულებები
15. კაპიტალი
16. ამონაგების აღიარება
17. საოპერაციო და ფინანსური იჯარა
18. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი
19. წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან
20. გადასახადები
21. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები
22. ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31.12.2024წ.	31.12.2023წ.
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	3	38 350	15 614
სავაჭრო მოთხოვნები	4	1 941 814	757 725
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	5		
მარაგები	6	1 559 265	1 324 880
- მზა პროდუქცია			
- სხვა		1 559 265	1 324 880
საინვესტიციო ქონება			
სხვა მიმდინარე აქტივები	7	536 285	268 743
ბიოლოგიური აქტივები			
- თვითღირებულების მოდელით			
- გადაფასების მოდელით			
გუდვილი			
სხვა არამატერიალური აქტივები	8		8 161
ძირითადი საშუალებები	9	3 801 374	2 924 431
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	10		
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	10		1 031 251
სხვა გრძელვადიანი აქტივები		32 429 906	33 632 653
სულ აქტივები		40 306 994	39 963 458
ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება			-



სავაჭრო ვალდებულებები	11	322 620	376 686
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები			
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	12		30 579
საგადასახადო ვალდებულებები			43 447
გამოუმუშავებელი შემოსავალი	17		
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	13	647 129	257 263
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	13	20 513 830	20 367 032
მიღებული გრანტები			
სხვა ვალდებულებები	14		28 042
სულ ვალდებულებები		21 483 579	21 103 049
საკუთარი კაპიტალი	15	19 199 097	19 061 146
საწესდებო კაპიტალი			
საემისიო შემოსავალი			
გამოსყიდული საკუთარი აქციები			
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		-379 317	-204 372
გადაფასების რეზერვი		3635	3635
სხვა რეზერვები			
სულ საკუთარი კაპიტალი		18 823 415	18860409
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		40 306 994	39 963 458

გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს გ.ნათაძის სახელობის სანიტარიის, ჰიგიენის და სამედიცინო ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი-ს სახელით 2025 წლის 30 სექტემბერს.

რეზო კობახიძე

შპს გ.ნათაძის სახელობის სანიტარიის, ჰიგიენის და სამედიცინო ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31.12.2024წ.	31.12.2023წ.
ნეტო ამონაგები		1 907 197	1 892 311
საქონლის გაყიდვიდან	16		
მომსახურების გაწევიდან		1 843 644	1 884 351
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
სხვა		63 553	7960
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(162 793)	(27 062)
საწყისი მარაგები			
მარაგების შესყიდვა			
გადამუშავების დანახარჯები			
საბოლოო მარაგები			
საერთო მოგება		1 744 404	1 865 249
სხვა შემოსავალი	17		
დასაქმებულთა ანაზღაურება	12	(806 812)	(852 057)
ცვეთა და ამორტიზაცია		(136 626)	(146 515)
საპროცენტო შემოსავალი			
საპროცენტო ხარჯი	13	(496 076)	(268 115)
იჯარის ხარჯი	17		
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	18	(533 084)	(671 031)
სულ საოპერაციო ხარჯები		(1 972 598)	(1 937 718)
საოპერაციო მოგება		(228 194)	(72 469)
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:			
ფინანსური აქტივები			-
მარაგები			-
სხვა არაფინანსური აქტივები			-

წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	19		
მიღებული დივიდენდები			
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)			
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		(228 194)	(72 469)
მოგების გადასახადი			
მოგება/(ზარალი)		(228 194)	(72 469)
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა			
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	15	(228 194)	(72 469)
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		18 860 409	19 133 615
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		(191 200)	(200 737)
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		18 823 415	18 860 409

გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს გ.ნათაძის სახელობის სანიტარიის, ჰიგიენის და სამედიცინო ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი-ს სახელით 2025 წლის 30 სექტემბერს.

რეზო კობახიძე

შპს გ.ნათაძის სახელობის სანიტარიის, ჰიგიენის და სამედიცინო ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი
თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „გ.ნათაძის სახელობის სანიტარიის, ჰიგიენისა და სამედიცინო ეკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი (შემდგომში მოხსენიებული, როგორც - „კომპანია“) დაფუძნდა 2000 წლის 30 აგვისტოს საქართველოში, კომპანიის იურიდიულ და ფაქტობრივ მისამართს წარმოადგენს: ქ.თბილისი, დიდუბის რაიონი, დიმიტრი უზნაძეს ქუჩა N78.

2022 წლის 08 დეკემბერს „კომპანია“ შეერწყა შპს „ბ და ნ“-ს (ს/კ 204506472), აღნიშნული ოპერაციის განხორციელებამდე „კომპანიის“ ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა ლაბორატორიული კვლევები, შერწყმის შემდეგ კი „კომპანიის“ საქმიანობის პროფილები გაიზარდა და ოპერირება დაიწყო სოფლის მეურნეობისა და სასტუმრო ბიზნესის მიმართულებებით. სასტუმრო ბიზნეს მიმართულებით „კომპანია“ ფლობს ძველ თბილისში მდებარე სასტუმრო „ნატა“-ს ხოლო სოფლის მეურნეობის მიმართულებით, ქალაქ ხონთან არსებულ სასოფლო-სამეურნეო მდანიშნულების მიწებზე აქტიურად ეწევა მრავალწლოვანი დაფნის ნერგების კულტივაციას.

დღეის მდგომარეობით „კომპანია“ წარმოადგენს ერთი პირის საწარმოს, რომლის 100% წილის მესაკუთრე/პარტნიორს წარმოადგენს ფიზიკური პირი ნატა კაკაბაძე (პ/ნ 01024020814), „კომპანიის“ მმართველ ორგანოს წარმოადგენს დირექტორი, რეზო კობახიძე (პ/ნ 62001019735), რომლისთვისაც აღნიშნული უფლება ერთპიროვნულად არის დელეგირებული.

2. მომზადების საფუძველი

მომზადების საფუძველი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში “მსს ფასს”), რაც ასახავს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე (რომელიც გამოიყენება მსს ფასს 35-ე განყოფილების “მსს ფასს-ზე გადასვლა“-ფარგლებში).

კომპანია ნათლად და უპირობოდ აცხადებს, რომ:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტმა გამოიყენა მსს ფასს, ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო გამოცდილება, რაც ასევე გამოყენებულ იქნება მსს ფასს-ის შემდგომი პერიოდების ფინანსური ანგარიშგების პაკეტის მომზადებისას შესადარისი ინფორმაციის წარმოდგენით;
- კომპანიამ ისარგებლა კანონით მისთვის მინიჭებული უფლებით და წარმოადგენს ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანობის შედეგების ანგარიშგებას.

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით, კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და გამოთქვა კმაყოფილება იმასთან დაკავშირებით, რომ კომპანიას აქვს საკმარისი რესურსი, გააგრძელოს საქმიანობა უახლოეს მომავალში, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან მინიმუმ 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში. ამასთან, ხელმძღვანელობა არ ფლობს ინფორმაციას, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. აქედან გამომდინარე, ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე.

საყურადღებო არის ის ფაქტი, რომ 2023 წლის 01 ივნისს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ იქნა მიღებული გადაწყვეტილება შპს „გ.ნათაძის სახელობის სანიტარიის, ჰიგიენის და სამედიცინო ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“-ს მიმართ დაწყებულიყო გადახდისუუნარობის (გაკოტრება, რეაბილიტაცია) საქმის წარმოება. აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებული იყო ქალაქ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიის მოსამართლის ალექსანდრე გზირიშვილის გადაწყვეტილების საფუძველზე (საქმე N330210323007051075). 2023 წლის 25 მაისის განჩინების საფუძველზე რეაბილიტაციის რეჟიმი გაიხსნა იმ ფორმით, რომ საზოგადოების დირექტორი რეზო კობახიძე (პ/ნ 62001019735). რეაბილიტაციის რეჟიმის ფარგლებში მომზადდა კრედიტორთა რეესტრი, რომელიც წარედგინათ კრედიტორებსა და სასამართლოს, რის შემდეგაც 2024 წლის 26 თებერვალს, სასამართლოში წარმოდგენილი იქნა განცხადება (რეგისტრაციის N8783746), შპს „გ.ნათაძის სახელობის სანიტარიის, ჰიგიენის და სამედიცინო ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“-ს კრედიტორთა მიერ მოწონებული რეაბილიტაციის გეგმა სასამართლოს მიერ დასამტკიცებლად. წარმოდგენილი განცხადების თანახმად გეგმას მხარი დაუჭირა არაუზრუნველყოფილი კრედიტორების 97.24%-მა (შპს „ერმი“ 91.25%; ვახტანგი ჩუბინიძე 24.43%, შპს „საგა იმპექსი“ 1.9%; მაია გავაშელიშვილი 0.97%; ლატეკი 0.02%, შპს „ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორები“ – 0.4%; შპს „უოთერ ქუალითი“ – 0.27%). სხვა არაუზრუნველყოფილ კრედიტორებს საკუთარი პოზიცია რეაბილიტაციის გეგმასთან დაკავშირებით არ წარუდგენიათ. რაც შეეხება უზრუნველყოფილ კრედიტორთა ჯგუფს, სს „თიბისი ბანკი“-ს მიერ მოწონება არ განხორციელებულა და არც პოზიცია ყოფილა წარმოდგენილი ხოლო სს „საქართველოს ბანკი“-მა ელექტრონული ფოსტის მეშვეობით წარმოადგინა თანხმობა გეგმის მოწონების შესახებ. შესაბამისად „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის 82.9 მუხლის შესაბამისად რეაბილიტაციის გეგმის პროექტის მოწონება ხდება არაუზრუნველყოფილი კრედიტორების ხმათა უბრალო უმრავლესობით. აღნიშნულის გათვალისწინებით ჩვენს მიერ წარმოდგენილმა განცხადებამ დააკმაყოფილა „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ მოთხოვნებს, შესაბამისად ჩვენი მოთხოვნა გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით დაკმაყოფილდა.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა წარმოადგენს იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტას, რომელშიც იგი ფუნქციონირებს. კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს - ქართული ლარი ("GEL").

წარდგენის ვალუტა

ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ხდება ლარში, თუკი სხვაგვარად არ არის განსაზღვრული.

3. ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში, ეროვნულ ვალუტას რეზიდენტ ბანკში და უცხოური ვალუტას რეზიდენტ ბანკში.

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

	2024	2023
ფულის ნაშთი	38 350	15 614
სულ	38 350	15 614

4. სავაჭრო მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების გაანალიზება იმის დასადგენად, ხომ არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულება, რომ ეს თანხები არ ექვემდებარება ამოღებას. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

აღნიშნულ შემთხვევაში გვსურს განვმარტოთ, სხვა გრძელვადიან მოთხოვნებში არსებული 22 887 479,06 ლარის წარმომავლობა. მოგახსენებთ, რომ 2022 წლის 26 მარტს, შპს „ბ და ნ“-ს (ს/კ 204506472) მიერ დაფუძნდა შპს „ბ და ნ ინვესტ“-ი (ს/კ 404636499). ახლად დაფუძნებული შპს-ს 100%-იან წილის მესაკუთრე/პარტნიორად განისაზღვრა შპს „ბ და ნ“. 2022 წლის 09 დეკემბერს, განხორციელდა რეორგანიზაცია, რომლის შედეგადაც შპს „ბ და ნ“ მიერთების გზით შეირწყა შპს „გ.ნათაძის სახელობის სანიტარიის, ჰიგიენის და სამედიცინო ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“-მა, შედეგად გაუქმდა შპს „ბ და ნ“-ს რეგისტრაცია და მის სამართალმემკვიდრედ განისაზღვრა შპს „გ.ნათაძის სახელობის სანიტარიის, ჰიგიენის და სამედიცინო ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“.

აღნიშნული ოპერაციის განხორციელების შედეგად შპს „ბ და ნ ინვესტ“-ის 100%-იან მესაკუთრე/პარტნიორად განისაზღვრა შპს „გ.ნათაძის სახელობის სანიტარიის, ჰიგიენის და სამედიცინო ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“.

2022 წლის 13 დეკემბერს შპს „გ.ნათაძის სახელობის სანიტარიის, ჰიგიენის და სამედიცინო ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“-სა და ფიზ.პირი ნატა კაკაბაძეს (პ/ნ 01024020814) შორის გაფორმდა შპს „ბ და ნ ინვესტ“-ის წილის ნასყიდობის ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულების მიხედვით ნატა კაკაბაძემ სრულად შეიძინა შპს „ბ და ნ ინვესტ“-ის 100%-იანი წილი შპს „გ.ნათაძის სახელობის სანიტარიის, ჰიგიენის და სამედიცინო ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“-სგან. ნასყიდობის ღირებულებად განისაზღვრა 22 887 479,06 ლარი, მხარეებს შორის გაფორმებული წილის ნასყიდობის ხელშეკრულების 1.4. პუნქტის მიხედვით ნასყიდობის თანხის/წილის ღირებულების გადახდა უნდა განხორციელდეს 10 (ათი) წლის ვადაში ეტაპობრივად.

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

2024

2023

სავაჭრო მოთხოვნები:

ფიზიკური პირები	-	-
იურიდიული პირები	1 941 814	757725
სხვა სავაჭრო მოთხოვნები	10 750 174	10 750 174
სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	22 882 479,06	22 882 479,06
სულ	35 574 467	34 390 378

5. გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი

გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავლები მოიცავს ადგილობრივ მომწოდებლებისთვის გადახდილ ავანსებს, რომელთა გამომუშავება მოხდა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში.

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

	2024	2023
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი:		
ადგილობრივი და უცხოელი ძირითადი მომწოდებლები	0	0
სხვა მომწოდებლები		
სულ	0	0



6. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შემენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე მარაგების ძირითადი ნაწილი მოიცავს ლაბორატორიულ მასალებს ; სამეურნეო საქონელს და ბიოლოგიური აქტივისთვის მოვლის საშუალებებს.

მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

	2024	2023
გასაყიდად გამზადებული საქონელი		
ნედლეული და მასალები		
სხვა მარაგი	1 559 265	1 324 880
სულ	1 559 265	1 324 880

7. სხვა მიმდინარე აქტივები

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

	2024	2023
საგადასახადო ზედმეტობა	41 775	43 447
მისაღები პროცენტები	536 285	268 744
მიღებული დეპოზიტები	-	-
საიჯარო მოთხოვნა	-	-
სხვა	-	-
სულ	578 060	312 191



8. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს ცალკე შეძენილ საბუღალტრო პროგრამას და ონლაინ გაყიდვების საიტს, რომლებიც აისახება დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. არამატერიალური აქტივის ამორტიზირება არ ხდება.

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

	არამატერიალური აქტივები	სულ
31 დეკემბერი 2024	8951	8161
შემოსვლა	790	
გადაფასება	-	
გასვლა	-	

9. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას. მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელშიც წარმოიშვა. ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გამოიანგარიშება მისი თავდაპირველი ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი ვარგისია გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის განმავლობაში. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით საწარმოსათვის და ეყრდნობა მსგავსი აქტივების მქონე საწარმოს გამოცდილებას. ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები:

- შენობა-ნაგებობები 10-50 წელი
- ოფისის აღჭურვილობა 5-15 წელი
- კომპიუტერული ტექნიკა 5-15 წელი
- ავეჯი და სხვა ინვენტარი 5-15 წელი
- სხვა ძირითადი საშუალებები 5-10 წელი

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში. ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა.

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

ბ&ნ თან შერწყმის შედეგად არსებული ძირითადი საშუალებები	2023 წლის საბალანსო ღირებულება	შემოსვლა	გასვლა	პერიოდის დაგროვილი ცვეთა	2024 წარჩენი საბალანსო ღირებულება
მიწის ნაკვეთები	1049681.24				1049681.24
დაუმთავრებელი მშენებლობები	210114.45				210114.45
სარწყავი სისტემის მოწყობა ხონში	236400.95				236400.95
შენობები	1 856 089.12			257152.27	1598936.85
მანქანა-დანადგარები	1122047.19			995056.88	126990.31
ოფისის აღჭურვილობა	136760.34	13502.15		77456.76	72805.73
ავეჯი და სხვა ინვენტარი	63732.5	5353.61		48782.27	20303.84
მცირეფასიანი სწრაფლიკვიდირებული საქონელი	6119.42			5510.82	608.6
სატრანსპორტო საშუალებები	60053.1			44558.45	15494.65
ბიოლოგიური აქტივი	470 037.50				470037.5
ჯამი	5 211 035.81	18 855.76	0.00	1 428 517.45	3 801 374.12

10. ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ფლობს წილებს სხვადასხვა კომპანიებში რომლებიც შეადგენს 1 031 251,50 ლარს. აღნიშნული თანხა არის წარმოშობილი შპს ბ და ნ- ს თან შერწყმის შედეგად:

შპს "წყალტუბოს წყალი 2008" ს/კ 204550066 – 100 ლარი (წილობრივი თანამონაწილეობა კომპანიაში - 50%)

შპს "დელტა-8" ს/კ 212913748 - 100 ლარი (წილობრივი თანამონაწილეობა კომპანიაში 100%)

შპს „გ.ნათაძის სახ. სანიტარიის ჰიგიენის და სამედიცინო ეკოლოგიის სამეც
კვლევინსტიტუტი"202057219 - 940 951 ლარი

შპს "ჯორჯიან პლასტიკ პაიპსი" ს/კ 232558354 - 90 000 ლარი (წილობრივი თანამონაწილეობა კომპანიაში - 50%)

11. სავაჭრო ვალდებულებები

აღნიშნული თანხები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე აღებულ ვალდებულებებს და პროცენტებს არ ითვალისწინებს. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება კომპანიის ფულად ერთეულში (ლარში), საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

12. დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

ხელფასები, გასამრჯელოები, ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებები, ბიულეტენები, პრემიები და არაფულადი სარგებლები კომპანიის მიერ ექვემდებარება დარიცხვას იმავე პერიოდში, რომელშიც კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურება იქნა გაწეული. კომპანიას არ აქვს რაიმე სახის საპენსიო ან მსგავსი პროგრამის (მათ შორის თანამშრომლის სამსახურის შემდგომი სარგებლის სახით) იურიდიული თუ არაკონტრაქტული ვალდებულება.

13. ფინანსური ვალდებულებები

სესხები თავდაპირველად საოპერაციო ფასით აისახება (ანუ კრედიტორისათვის გადასახდელი თანხის ახლანდელი ღირებულება, საოპერაციო ხარჯების ჩათვლით). სესხები შემდგომში ამორტიზირებული ხარჯით აისახება. საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის საფუძველზე და აისახება ფინანსურ ხარჯებში. სესხები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუკი კომპანიას არ გააჩნია უპირობო უფლება აღნიშნული ვალდებულების გასტუმრების გადავადების შესახებ, ანგარიშგების თარიღიდან არანაკლებ 12 თვის ვადით.

ნასესხები სახსრების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც მათთან დაკავშირებული ვალდებულება შესრულდება, გაბათილდება ან ამოიწურება და თუ მისი პირობები არსებითად შეიცვლება.

2020 წლებში კომპანიის მიერ ფინანსური ინსტიტუტიდან მიზნობრივი დანიშნულებით აღებული სამი სხვადასხვა სახის სესხი (უძრავი ქონების შესაძენად და საბრუნავი საშუალებებისთვის). მიღებულ სესხზე საპროცენტო განაკვეთი შეადგენს:

სესხი	თანხა	პერიოდი/წელი	საპროცენტო განაკვეთი
სხვადასხვა გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება	20 513 830	2016-2024	



14. სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები მოიცავს იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ კომპანიისთვის გაწეული მომსახურების საფასურს, რომლის აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით.

15. კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისგან, გაუნაწილებელი მოგებისგან, რომელშიც შედის მიმდინარე წლის მოგება ან ზარალი და წინა წლის გაუნაწილებელი მოგების სხვა ცვლილებისგან რომელიც გამოწვეულია ზოგიერთი საბუღალტრო ანგარიშების კორექტირებისგან.

კაპიტალის მართვის მიზნებია:

- კომპანიის სტაბილურობის საჭირო დონის შენარჩუნება და ამით მფლობელებისთვის გარკვეული უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- კაპიტალის ეფექტურად მართვა და საქმიანობის განვითარების მხარდაჭერა იმის უზრუნველყოფით, რომ გამოყენებულ კაპიტალზე უკუგება აკმაყოფილებდეს მფლობელთა მოთხოვნებს;
- მტკიცე ფინანსური პოზიციის შენარჩუნება, საქმიანობის გაფართოების ხელშეწყობა და მფლობელებისთვის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

დივიდენდების აღიარება ხდება, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება კაპიტალიდან ანგარიშების შედგენის თარიღისათვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშების შედგენის თარიღით. დივიდენდები ცხადდება, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გამოცხადებულია ანგარიშების თარიღის შემდგომ პერიოდში, მაგრამ ფინანსური ანგარიშების გამოცემამდე.

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

კაპიტალი	31 დეკემბერი 2024
საწესდებო კაპიტალი შპს-ში	19 199 097
აკუმულირებული ზარალი	(379 317)
გაუნაწილებელი მოგება	-
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	(228 194)
ძირ საშუალების გადაფასების რეზერვი	3 635



16. ამონაგების აღიარება

ამონაგები მოიცავს მხოლოდ კომპანიის მიერ თავის ანგარიშზე მიღებულ ან მისაღებ ეკონომიკური სარგებლის საერთო თანხას. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით.

ამონაგების აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია მოცემული ოპერაციიდან ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში. როდესაც ჩნდება განუსაზღვრელობა ამონაგებში უკვე ჩართული თანხის მიმართ, ამოუღებელი თანხა ანუ თანხა, რომლის ამოღების ალბათობა ნულის ტოლია, აღიარებული იქნება როგორც ხარჯი.

შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე. გაყიდვები ნაჩვენებია დღ-ს გარეშე.

17. საოპერაციო და ფინანსური იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

კომპანია, როგორც მოიჯარე - იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მოიჯარისთვის.

საოპერაციო იჯარა წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის ხარჯად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში და წარსდგება „იჯარის ხარჯის“ მუხლში. აღნიშნული იჯარის ხარჯი წარმოადგენს მაღაზიებისა და აღნაგობით აღებული ქონების იჯარის თანხებს.

კომპანია, როგორც მეიჯარე - კომპანიას საოპერაციო იჯარის ფარგლებში გაქირავებული აქვს გარკვეული აქტივები. საიჯარო შემოსავალი წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის შემოსავლად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში და წარსდგება „სხვა შემოსავლების“ მუხლში. მომავალში მისაღები საიჯარო თანხები აისახება სხვა მიმდინარე აქტივებში, ხოლო წინასწარ მიღებული საიჯარო თანხები გამოუმუშავებელი შემოსავლების გრაფაში.



18. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

სხვადასხვა ადმინისტრაციული დანახარჯები	2024 წელი
მიწოდების ხარჯები	3408
აკრედიტაციის და სხვა სარეგისტრაციო ხარჯები	25 150
შრომის ანაზღაურება	806 812
სამუშაო ხარჯები	58 795
დაზღვევა	47 770
კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯები	159 138
საკონსულტაციო ხარჯი	83 955
სხვადასხვა მომსახურების ხარჯი	154 403

19. წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით.

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

	2024	2023
შემოსავალი კურსთაშორის სხვაობიდან		
ხარჯი კურსთაშორის სხვაობიდან	0	0
წმინდა ზარალი		



20. გადასახადები

მოგების გადასახადი

საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამონაკლისებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

ახალი, ე.წ. "ესტონური", მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით (მანამდე არსებული მოდელის მიხედვით, კომპანიის მოგება 15%-იანი გადასახადით იბეგრებოდა იმის მიუხედავად, ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება).

დღგ

კომპანიის მიერ გაყიდვების/მომსახურების გაწევის ოპერაციებთან დაკავშირებული დღგ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელია მიწოდებული საქონლის ან გაწეული მომსახურების შესაბამისად, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში. კომპანიას შეუძლია განახორციელოს დღგ-ს ჩათვლა შესაბამისი ჩასათვლელი თანხების დეკლარირების გზით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დაშვებულია გადამხდელის მიერ დღგ-ის თანხის გადახდა ე.წ. „წმინდა თანხის“ საფუძველზე (მიღებული დღგ-ს ჩათვლის გათვალისწინებით). შესაბამისად, კომპანიის მიერ განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციების საფუძველზე გადასახდელი დღგ, რომლის გადახდაც არ მომხდარა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება (აღიარდება) ე.წ. „წმინდა თანხის“ საფუძველზე (მიღებული დღგ-ს ჩათვლების გათვალისწინებით). საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად დღგ-თი დაბეგვრა ხდება წინასწარ კომპანიის მიერ მიღებული კომპენსაციის თანხების. 2021 წლიდან იცვლება საქართველოს საგადასახადო კოდექსში დღგ-ს მთლიანი კარი, რაც გულისხმობს ძირითადად ტერმინოლოგიის მიახლოებას ევროდირექტივების მოთხოვნებთან.

21. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომ მნიშვნელოვანი მოვლენები არ მომხდარა.

22. ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას. ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობასთან.



კომპანიაში ანარიცხები აღიარდება, როდესაც:

- კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად;
- სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა;
- შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

კომპანიას მიმდინარე პერიოდში არ ქონია პირობითი აქტივები, ვალდებულებები და ანარიცხები.

მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს



ს. ნათაძე